



№ 36—1917

ქმირა ენკენის. 10.

წელ. მისუთე

ფანი

გამოცემისა.

25 კ



თბილელ მიტროპოლიტა ღქონიდი სრულილ საქართველოს ეკლქის კათალიკოსის მოსაყდრე, ქართული ეკლქისის თავდადებული მოღვაწე.



კირათნ კუხსკოპოსი.

საქართველოს ეკლქის და მსაჩურებულ-ნაწამები მოღვაწე და ცნობილი მწე-ალი.



აღ. ანტ. ნაკარული.

პეტროგრადის უნივერსიტეტის დამსახურებული ს.ორდინარო პროფესორი, საქართველოს სიძველე-მწერლობის მკვლევარი.

### ქართულ მსახიობის დრამა

ქართულ მსახიობის მატერიალური მდგომარეობა არც იყო და არც არის ეხლა კარგად. ყოველთვის გაქირვებას განიცდიდენ, მაგრამ ხელოვნებისათვის მათ არ უღალატნიათ, იგინი სულიერად მიანიც იყვნენ კმაყოფილნი: შათ ქონდათ თავიანთი თეატრი, მაგრამ დაიწვა თეატრი და მასუკან ჩვენი მსახიობების ნამდვილი კონტრ-დრამა დაიწყო. ნივთიერ გაქირვებას მოემატა სულიერი ტანჯვა. არ ჰქონოდათ ბინა, რომ თავი შეეფარებინათ, ყველგან გულცივად ხვდებოდნენ, ვითომ მაგათი ბრალი ყოფილიყოს თეატრის დაწვა და ამ რიგად იძულებულნი იყვნენ კლუბებში სამასხარო ვოლდეილები ეთამაშნათ, რომ შიმშილისაგან არ დახოცილიყვნენ.

მობდა რევოლიუცია. ყოველ მშრომელ კაცის ნაღვაწი დაფასდა, მხოლოდ ჩვენი მსახიობების მდგომარეობა კი უარესდება. მიზეზი?

ჩვენი საზოგადოების გულ-გრილობა.

ჩვენს მსახიობებს დიდი ამაგი მიუძღვით ქართულ ხელოვნების აღორძინებაში. მაგრამ ვინ დააფასა იგინი?

უკანასკნელი მეფეოვე ოც თუმნამდი აგებს თვეში და ჩვენი მსახიობების შრომა კი გროშად ფასდება. რატომ უნდა ღებულობდნენ ოპერეტკის მსახიობნი ბევრჯელ მეტს, ვიდრე ჩვენები? და ისევ ჩვენი დაწესებულებიდან! ვანა ოპერეტკა ჩაითვლება სერიოზულ ხელოვნებად? იგი ხომ ხელოვნების დამცირებაა!

მაგრე საქმის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი მსახიობნი ქუჩაში ვერ დარჩებიან, ეგ ჩვენი ხალხის სირცხვილია! სიტყვით პატრიოტობას გასაგალი აღარ აქვს, საქით უნდა დამტკიცდეს ჩვენი საქმის უნარი. ქართული თეატრი მიყვარს და შიგ არ შევიდღე, და ოპერეტკაზე ვაფიქვე ეგ საკადრისი არ არის! დროა ამას ბოლო მოეღოს.


როგორც გადმოგვცეს, ჩვენმა წინა წერილებმა სიმხნევე შეიტანა ჩვენ, დაჩაგრულ მსახიობებში. იგინი აპირობენ გაბედულად გამოსვლას და მედგრად ხმის ამოღებას სიმართლებზე!

მაშ მედგრად, ასწიეთ მაღლა ხელოვნების დროში, დააწერეთ ზედ:

საქართველოს დედა ქალაქ თბილისში საპატოო ალაგი უნდა ჰქონდეს ქართულ ხელოვნებას!

ღმე, რაკი რევოლიუციამ ყველა გაახარა და გააბედნიერა, ჩვენი მსახიობნიც გაახაროს და გააბედნიეროს!

### სვ. წერეთელი



## ჩემი სატრფონი

რაო, მითხარი არა მყავს სატრფო? შენ ერთზე მკითხავ, მე კი მყავს ორი: მათზე ერთგული ობოლ სულისთვის მე ამა ქვეყნად ვერ ვპოვე სწორი.


\* \*

პირველი არის ჩემი სამშობლო, რომლის გმირებით ამაყობს ყველა, და მეორე-კი მუშა-მშრომელი, ვინც რომ ბრძოლის დროს აღმითქვა—  
შველა.

\* \*

და ეს ორი მწამს სულით და გულით, მათზე ვლოცულობ, ვიწამე ღმერთად, მტკიცე ფიცი გვაქვს: ან გაპარჯვება, ან და სიკვდილი სამივეს ერთად!

მუშა ფაქარია ზემო-ხანდაკელი



# გიგო გაბაშვილი

(მისი სურათების გამოფენის გამო)



გიგო გაბაშვილი ერთი საუკეთესო მხატვართაგანია ჩვენში.

მიმართულებას მისი შემოქმედებისა წმინდა რეალიზმის: უაყელ მის სურათში დაცულია

ბუნებრივი სინამდვილე. ჩვენი ძველებური ადრე ჩვეულებანი: ქიდაობა, სოფლის დღეობა, ბრძოლის წინ მზადება და სხვა გაბაშვილს შეენიფრად გადაუსატყვის ტიღაზე.

რადაც უნდა დიხს მისი ტიხები!

იმდენი სინამდვილე შეიტანა გაბაშვილმა თავის შემოქმედებაში, რომ რტა უყურებ მისს

ტიხებს, გგონიათ თქვენს წინ სურათი კი არა, ტრცხადი აღმინები დგანანო.

შეუძლებელია ორ სტრიქონში აღწინაშინო დაწვრილებით მისი შემოქმედების მნიშვნელობა. ამას შემდეგში დაუბრუნდებით; სოლო ამ უხმად კი ფატყვით, რომ აღნიშნული სურათი თვალსაწინა აღავს დაიქვტუნ ჩვენს მუხეუმში, ჩვენი საზოგადოების მოფაღეობაა შეიძინოს გაბაშვილის სურათნი, ვინაღვან მათ დიდი ისტორიულ-ეტნიკოგრაფიული მნიშვნელობა აქვთ.

თვით გაბაშვილს ვუსურვებთ განაგრძოს თავისი მადლიანი შრომა და შთანთქმელობას შესძინოს, რაც შეიძლება, მეტი თავისი მადლიდონსეული ნაწარმოებნი.

ამ მეტად საინტერესო გამოფენას, სემწუნხაროდ, ჩვენი საზოგადოება ნავაგებ ესწრება.

ს წ.



დასავლეთ საქართველოს ხალხური მკერდნი და მკერდნი ლობარობით.

## ეროვნულ-ხალხური ხელოვნება

(ძუკუ ლოლუას კონცერტების გამო).

მე არ მინდა სხვისი ღვინო, გინდა იყოს ბადაგია, ჩემი ღვინო მირჩვენია, ჩემი ნაოფლ-ნადაგია!

ხ ა ლ ხ უ რ ი

გინახავო უღრანი ტყე, იღუმლოობით მოცული, შორიდან ბუმბერაზად, მრავალ

სულთა თავშესაფარად რომ გეჩვენებთ, გაკრობთ და მაინც გიზიდავთ, თუმცა შესვლა ვერ გავიბედნიათ, მის სიღრუეში ვერ ჩავიხედნიათ?!

გინახავთ თვალ-უწვდენი ზღვა მრავალი საუნჯეთ მფლობელი?!

ასეთია საზოგადოდ ხალხის სული განსაკუთრებით ჩვენი ხალხის სული და მისი შემოქმედება.

ინ ჩასწვდეს მის სიღრმესა და იღუპა-  
ლებას?

ჩვენს ერს მრავალ საუკუნოიანი ცხოვრე-  
ბა გამოუვლია. ხნგრძლივი ქარი და ვაება,  
ლხინი და შებება განუვლია, ისტორიის წმელს  
გზის საფინხო-იბზი

უკანა და უღბენია!

მა რამ არ გენსა ღებნაშაიკ იყო გან-  
სხვებია!

...ველოს ყველა ნაწილი არ იყო  
ეკონაირ ვითარებაში. ერთ კუთხეს თუ სპარს-  
არაზნი სთვლოვდნენ ფეხქვეშ, მეორე შებებით  
ლაღად სუნთქავდა, მესამე კუთხეს თურქნი  
ანუ ბიზანტონი უფლობდნენ, მეოთხეს სხვა-  
ნი გამველობდნენ და ახე ეს პაწაწა საქარ-  
თველო — მუდამ საღაო ვაშლი — ხელის ბურ-  
თად იყო გადაქციული, — ყველა თავისებურ  
ნიშნს უტოვებდა ქართველს, მაგრამ ქართვე-  
ლურ ძირ-თად თავისებას კი ვერ უცვლიდა,  
ქართველი ერის თვითშემოქმედობის ქუჩა  
ყოველივე გარედან მონაბერს თავისებურად  
სცვლიდა.

მეორე მხრით საქართველოს ბუნების —  
ამერ-იმერეთის მდებარეობისა და ჰავის სხვა  
და სხვაონა, პოლიტიკურ ეკონომიური პირო-  
ბანი, ზნე და ჩვეულებანი თავისებურად ბე-  
ჭედს ასვაძდა.

ამიტომაც არის, რომ ასე განსხვავდება  
უპროტოტ სკან საქართველოს სხვა და სხვა  
კუთხის შვილის ხსიათი და შემოქმედება.

ქართლ-კახელ მთიელის ხან გულჩათახრო-  
ბილი, ჩახვეული კენესა სულისა, ხან შავ ზედ-  
თან ბრძოლის გამომწვევი გამოძახილი; ხში-  
რად ერთ კილოანი მოთქმა, — ცეკვა-მოძრა-  
ობა — დინჯი, იმერელის გურულ-მეგრელის  
ლაღი, ხშირად მხარული მდერა, ცეკვა —  
ფრცხი, მოძრაობა — მევირცხლი ..

აღამიანის სულის რომელი თვისება გინ  
დათ ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის  
შვილში არ იყოს ჩანასკული!

სიმღერა, ცეკვა, საზოგადოდ სხეულისა  
და სულის ვარჯიშობა, — აი რა სწრთვნიდაჩვე-  
ნის ხალხის სამამცოა ზნეს!

მართალია, ეგრედწოდებულ „გავერო-  
პილებული“. „კულტურულ“ ქართველის  
სულის ვითომდა ვეღარ აქმაყოფილებს მშობ-  
ლიური სიმღერა-ცეკვა, მაგრამ განა ამის გა-  
მო უვლებელ უნდა ვყოთ ჩვენი ეროვნული  
ხელოვნება?

მაშინ როგორღა განვითარდება ჩვენი  
მუსიკა, როგორ დაიწერება ჩვენი ეროვნული  
ოპერა

ამ საგნის დიდმნიშვნელობას აღზად კარ-  
გად გრძნობდენ გასულ საუკუნის მიწურულს  
ლადო აღნიაშვილი, რომელმაც შეადგინა  
პირველი ეროვნულ-ხალხური გუნდი, სანდრო  
კავსაძე, ფილ. ქორიძე, სხ., რომელნიც თუმ-  
ცა ლიდის დაბრკოლებით მაგრამ ერთგუ-  
ლად ემსახურებოდნენ ხალხურ ხელოვ-  
ნების გავერცელებას.

ზემორე ხსენებულნი პირნი, ფ. ქორი-  
ძის ვარდა, უმეტესად აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოს სიმღერა-ცეკვას უფრო აქცევდენ ყურა-  
დლებას.

ეს ხუთიოდე წელიწადია რაც ამ ასპა-  
რეზზე გამოჩნდა ძუკუ ლოლუვა, რომელიც  
დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერებს  
ჰკრებს და ხალხურ კონცერტებს მართავს.

თბილისის საზოგადოებას ძუკუ ლოლუვა  
გასულ კვირას, მარიაშობისთვის 26, ქართულ  
კლუბში წარმოადგა.

მინახავს იშვიათ ნვითა მოყვარული,  
დგდა მიწის გულიდან რომ ძვირფასი ქვები  
ამოუტყრებია, გამოუჯვარებია, მაგრამ ჯერ  
კიდევ ვერ გაუტყიალებია.

ასეთი შთაბეჭდილება დასტოვა ძუკუ ლო-  
ლუას კონცერტმა.

მას მოუტყრებია მრავალი ძკრფასი ხალ-  
ხური სიმღერები, ზევრი მათგანი ძალზე მიშზა-  
დველია, მაგრამ ატყობ, რომ ჯერ კიდევ  
დამუშავება ექვრება.

ამას კი დრო და სახსარი უნდა.

ქართველმა საზოგადოებამ ყველა მის-  
თვის, რაც ძუკუ ლოლუვა! გეჩვენა თვისი  
ხელმძღვანელობით გამართულ კონცერტზე,  
დიდი მადლობა უძღვნა: ხანგრძლივი ტაშით  
დააჯილდოვა ბუნებრივი ლოტბარი, თაიგული

მიართვა და რამდენიმე სამღერავე გამეორებინა კადეც. ყოველივე ეს იმის მიზნებელთა, რომ ქართველ საზოგადოებას უყვარს თვისი ეროვნული ჰანგები და ამის თავდადებულ მუშათაც აფასებს.

ჩვენი კულტურულ საზოგადოებათა მესვეურების ვალია, ასეთ მუშაკთ საქირო დახმარება აღმოუჩინოს.

ძუკუ ლოლუვა-კი ჩვენი ეროვნულ-ხალხურ ხელოვნების აღორძინების ერთი პირველთაგანი, ბეჯითი მუშაკი და ღირსეული დამამშვიდებელია.

უფრო დაწვრილებით ძუკუ ლოლუას შესახებ შემდეგ.

**იოსებ არამათიელი.**

## ქართველი სამღვდლოება და ნიკოლოზის ჯვრები.

ნიკოლოზ რომანოვი თავის ტახტის გასამაგრებლად ყოველ გვარ ზომებს ხმარობდა. განსაკუთრებით გარეგანი ნიშნებით უზვევდა იგი თვალებს თავის ერთგულ მოსამსახურეებს. ამ ნიშნების წყლობლით, მისი ბრმა და ყურმოჭრილი მოსამსახურეებიც ისე იყვნენ გატაცებულნი, რომ არავითარ უბატოსნებას არ ერიდებოდნენ. ქრთამობა, ჯაშუშობა, პატიოსანი აღამიანის დასმენა დემოკრატიული იდელების ტარებასათვის ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული ნიკოლოზ რომანოვის მეფობის დროს.

ყველა ამ სისამაგლეს მისი მოსამსახურეები მიტრამ ჩადიოდნენ, რომ ამ ქვეყნის მტარვალის ყურადღება დაემსახურებიათ და მეტი ჩინ-ორდენი მიეღოთ. წინა მეფეების დროს ჩინ-ორდენების მიღებაში, სხვა მოხელეებთან შედარებით, სამღვდლოება შეადგენდა გამოწაკლისს. ნიკოლოზ მეორემ, თავის ტახტზე ასვლისათანავე უმთავრესი ყურადღება სამღვდლოების გარეგნული ნიშნებით განსხვავებას მიექცია და ეს ჩამორჩენილი წოდება სერო ბიუროკრატიათან გაათანაწორა. აწ უკვე სამარცხვინო ისტორიას ჩაბარებული

ნიკოლოზ რომანოვი ხშირად ამბობდა ზოლმე: „მხედრები იცავენ სახელმწიფოს გარეშე მტრებისაგან და მღვდლები კი შინაური მტრებისაგან და რაც შეიძლება ამ ჩემი ტახტის ერთგულ მონებს ბეჭი ჯვრები და მენდლები მიეციოთ.“

ასეც მოიქცენ.

14 მაისს 1896 წ. თავის დაგვირგვინების დღეს ამ უბედურმა მეფემ ერთბაშად ყველა მღვდლებს, ნამსახური იყო თუ უმსახური, ვერცხლის გულსაკიდი ჯვრების და თავის მამის, უსასტიკესი რეაქციონერის, ოლექსანდრე მესამის მეფობის სახსოვრად ვერცხლისავე მენდლების ტარების ნება დართო. საერთოდ ყველა მღვდლებმა და მათ შორის საქართველოს სამღვდლოებამაც, არც აცივეს, არც აცხელეს და ჯვრებისა და მენდლების ყიდვას დაესიენ. ეს ქრისტიან მოსამსახურეები იმის ვარაუდში კი არ შევიდნენ, თუ ვინ და ან რისთვის აძლევდა მათ ამ ჯვარ-მენდლებს და ან ღირდა მათი ტარება დაუმსახურებლად თუ არა.

მოდრაობის ქაშ 1905 წ-ში ზოგიერთმა მღვდლებმა ეს ჯვარ-მენდლები, როგორც მტარვალისაგან ნაბოძები, აიხსნეს, მაგრამ რეაქციის შემობრუნების მეორე დღეს, სხვა რომ ვიღარაფერი იშოვეს, ტყელის ტყუპში გაფერეს, შორიდან რომ უფრო ადვილი დასანახვი გახდარიყო, გულმკერდზე ჩამოიკიდეს და ისე გამოქმენ აღიხანოეს და მზგავსათა მისთა. ამ დღად თავისუფლების ქაშ და ჩვენი ეკლესიის ტყვეობიდან განთავისუფლების დროს ნეტავი ვიცოდე ქართველი სამღვდლოება რას უყუროებს, რომ ნიკოლოზისაგან ნება დართული და მისი დაგვი გვინების მოსაგონებლად დაასებული ჯვრების ტარებას განაგრძობს?!

ჯვრების ტარების ტარების უარის მყოფელი არავინ არ არის და ეს ქრისტიანობის ნიშანი სხვალდებულოც უნდა იყოს სამღვდლოებისათვის, მაგრამ საქმე იმაშია, თუ ვინ უნდა აძლევდეს სამღვდლოებას ჯვრებს და როგორი სახის უნდა იყონ იგინი.

ისე უნდა, იყოს როგორც დღემდის

იყო, რომ ზოგი ოქროს ყვითელი ჯვარი ჰქონდეს და მალი-მალ ისწორებდეს გულზე, რომ საღე ანაფორის წინაპირმა არ დამალოს და ზოგი ვერცხლის თეთრი ჯვარი, რომლებსაც ახალ მოდის ხუცებმა დასაკიდი ძეწვევი განგებ სინოდალური ჯვრისა გაუკეთეს და არც დღე იშორებენ გულზე და არც ღამე? არა და ათასჯერ არა.

მღვდელს უნდა ამშვენებდეს შინაგანი ჯვარი—სვინდისი, პატიოსნება და სამსახურის ერთგულოდ შესრულება. მღვდლისათვის ყოველი ჩინი და ორდენი საუკუნოდ მოსპობილი უნდა იყოს და არც არავითარ სხვა და სხვა მღვდლობის ასაძალღველ ხარისხს, როგორც მაგალითად დეკანოზი, „პროტესვიტერი“, ბერობაში „არხიმანდრიტი“, „არხიეფისკოპოზი“ და და „მიტროპოლიტიცა“ უსათუოდ ეკლესიური ტომინოლოგიიდან განდევნილ უნდა იყოს. ეს ამადლებითი ხარისხები მარტო მაცდურობას და შურიანობას ბადებს ეკლესიის მოსამსახურეთა შორის.

ხარისხი მღვდლობის ღამაში და სადა უნდა იყოს. ძველთაგან ეს ასეც იყო:

ღიაკონი მღვდელი და ეფისკოპოზი აივინ უნდა ამშვენებდეს ჩვენს განახლებულ ეკლესიას. სათავეში ყველა ამათ ისტორიული ტრადიციის გამოსახტავად ერთად ერთი „კათალიკოზი“ უნდა უდგეს.

სამღვდელოებისათვის ყველასათვის განურჩევლად უნდა დაწესდეს რაც შეიძლება პატარა და ღამაში სახს ნინოს ჯვარი, რომელზედაც ზევით ქრისტე უნდა იყოს გამოხატული და მის ფეხთ ქვეშ წმინდა ნინო

მღვდელმთავრებისათვის ამ გვარივე პანაღია ღვთის-მშობლისა და ნინოს გამოხატულობით. სხვა გვარ ჯვარს, ვ მერობებ, ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

არავითარ სამღვდელოებისათვის, მღვდლიდან დაწყებული კათალიკოზამდის, თავის მორთულობის, მიტრას, კამილაფკას და სხვას მხარი არავინ არ უნდა დაუჭიროს. ეს რუსების სინოდის მოკონება თვითმპყრობელობის განსამტკიცებლად.

მიხედეთ, ჩვენი ეკლესიის მესვეურნო, ქრისტეს შინაგან და გარეგან ცხოვრებას და ისე მოაწყვეთ ჩვენი ეკლესიის საქმე ზემოთ და სუფრის თავში ჯდომას თავი დაანებეთ

და ჩვენც მადლობელნი გვეყოლებით თორემ, თუ კიდევ თავმოყვარეობის სუნი შეოტანეთ ჩვენს განახლებულ ეკლესიაში, თქვენი შრომის ჯილდო იქნება წყვეა და კრულვა, რომელიც გაშორავს ღმერთთან უკუნისამდე.

მ. უკანეთელი.

## დიდებულ ილიას ხსოვნს

(გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო)

ჩვენო დიდებავ! საქართველოს მტკვრ-ვარსკვლავო! რაც უძრავად ხარ დღეს შესრულდა ათი წელია, დიდო მოაზრევე, ჩვენო მცველო, დაუცხრომელო, აფსუს, ამდროს შენ რომარ იყო რამის მტკმელია?

მაგრამ იხარე, საქართველო კვლავ საქართველობს, ჩვენ ჩვენივე გვყავს მიტროპოლიტ-კათალიკოსი, ას ჩვიდმეტი წლის მგლოვიარე, ძაძით მოსილი, აჰა! ზეიმობს ჩვენი ძველი მცხეთოს-ქართლოლი...

ნომ აგისრულდა, საქართველოს რომ უგალობდი მწუხარის ხმებით: „შენ როდისღა აპყავებდიო?“

აჰა, აყვავდ, საქართველო თვითონ გილოცავს: მომიხარია, შენის სიტყვით მკვდრეთით ვღებდიო.

ჩვენც მოგილოცავთ, ქეშმარიტათ მიძნარე ხალხი, კიდევ იმდენად, ეს იცოდეთ, გამოფხიზლდება, რომ ის ილია, ვინც ცოცხლობდა თვის სიცოცხლეში, უკუნისამდე ისევ ცოცხლად ჩვენში იქნება. ვარდენ ყიფიან.

29 აგვისტო 1917 წ. თბ. რკ. გზ საავადმყოფო.



მარეტა შაგინიანი.

სომეხთა მწერალი ქალი, ნახევენელია. ამ უმაღლესი თბილისში კითხულობს ლექციებს „სომეხთა ზღაპრები“ და „სომეხთა პირველი რევოლუციონერ-პუბლიცისტი ნაზბანდიანი“. — მისი ლექსი „ორიენტალი“ რუსულ ენაზე მოსკოვში შეთხედვად გამოიცა. სწერს რუსულ ენაზე. უმაღლესი სწავლა მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტში და საზღვარგარეთ, უოვდეშხინე განათლებულად ითვლება.

### დაფხრეწილი ალამი

(სურათი თანამედროვე სოფლის ცხოვრებაზე)  
დასასრული იხ. „თ. და ც.“ № 35,

#### II

რაღაც საზეიმო დღე გამოვიდა კვირა მარტის გასულღებში. ცა დილიდანვე ულაქო ლაქვარდოვან სამოსელში გამოეწყო, რათა ეცნობებინა დედამიწისათვის რომ ისიც მხიარულობს მის ხუნდების დამსხვრევას. მზემ ამოსვლისათანავე, რომ უფრო კარგა დაენახა ხალხის თავისუფლების ზეიმი, ცხრა თვალი გააღო და ზევიდგან ქვემოლ მომზირალი ჰკზავნიდა უოვალავ სხივებს თავის თანაგრძნობის ხალხისადმი გადასაცემად.

სოფ. წ—ს ეკლესიის მინდორზე ხალხი დილიდანვე იკრიფებოდა. ყველას რაღაც ალტაცება, გაკვირება, სიამოვნება და მოუთმენლობა ეტყობოდა.

— მა რა შეილოსა. რაც ჩვენ გეტანჯა ხემწიფემა, ღმერთი არ გადაახდევინებდა განაჟი  
— ამბობენ რუსთ ხემწიფე თითონ რუ-

ნებს ჩამოუვდით ტახტიდან და ძალიან საქმეს უპირობენო.

— ჰაი, დედასა, ერთი დღე რომ არავის შეჩვენია!..

ასე ლაპარაკობდნენ მინდორზე შეკრებილი გლეხკაცები სხვა თავის მეზობლების მოლოდინში. ხალხი ნელ ნელა იკრიბებოდა.

— აგერ მოაქვთ, მოაქვთ! გაისმა აქტივიტიდან მინდორზე და ყველამ ყურება დაიწყო ორღობისაკენ, საიდანაც გამოჩნდა წითელი ალამი. წინ ბავშვები მობობდნენ ხტუნაობით, უკან და გარშემო კი მხიარული კაცები და დედაკაცები მოსდევდნენ. ჯერ შორს იყვნენ, მაგრამ განუწყვეტილვ მოისმოდა:

— გაუმარჯოს!..

ხალხმა მინდორზე სწრაფად იმატა. ალამი თანდა-თან ახლოვდებოდა.

— თავისუფლებას გაუმარჯოს, ერთობას გაუმარჯოს! მუშა-გლეხ ხალხს გაუმარჯოს!.. ულოცავდა მოახლოვებული ხალხი მინდორზე შეკრებილთ.

— გაუმარჯოს!

ისმოდა მინდორზე სხვა და სხვა ხმინი ძლიერი პასუხი და გარბოდა შორს მთებისაკენ და მინდორის ქვემოთ აყვავებულ ვენახებისაკენ. ერთმა მის ნაკადულმა ფენმარდად გაჰკურცხლა ორღობისაკენ, ჩაირბინა ვენახებში, გადახტა სოფლის შარა გზაზე, მიირბინა მოირბინა ყველა უბნებში და სოფელს ამცნო ხალხის სახეიმა ხმა.

— გაუმარჯოს!

ისმოდა დრო გამოშვებით სოფელში და იქ დარჩენილებს ეს ხმატკბილი იტაცებდა და უგზნებდა იმედს გულში.

ყრილობაზე მარტო ოდენ გლეხკაცები ჩანდნენ, მოლაპარაკებადაც ისინი გამოდიოდნენ. ერთმა მათგანმა რომ გაათავა ბასი, მაგიდაზე სალაპარაკოდ ავიდა ახლა ჯარის კაცი. იმან ილაპარაკა იმაზე, რომ აგერ სამი წელიწადია რაც უცხოეთშია საშობლო ქვეყანას მოშორებული, მაგრამ სულით კი ყოველთვის აქ არი. ორი დღეა რაც მოვიდა საშობლოში და უხაროან, უხაროან იმიტომ უფრო რომ ჩვენ—გლეხკაცებს უღელი მოგვეა ხსნა, განვათავისუფლდით და იმედია განთავისუფლდეს ჩვენი ტარტა საშობლოც. საშობლო ხომ ჩვენი შობელია, დედაა და განა ჩვენ მისი შვილები შეიღობის ღირნილა ვიქნებით, თუ მის განთავისუფლებისათვის თავი არ გაწვირეთ. თავისუფალ შვილებს დედა მონობაში არ შეიძლება ჰყავდეთ. გაუმარჯოს თავისუფალ შვილების თავისუფლ დედას!

— გაუმარჯოს!—იყო პასუხად.

დასასრულ ავიდა მაგიდაზედ ჩვენი ნაცნობი მწიგნობარი გლეხი და ილაპარაკა იმაზე, რომ როგორც ახლა სოფლებში ისე იმათაც სანდოა და უჭუჭყო პირებისაგან უნდა ამოირჩიონ კომიტეტი, რომელიც ამიერიდან უნდა განაგებდეს სოფლის საქმეებსაო. გაუმარჯოს მუშებს და ჯარს, რომელთაც თავის ბრძოლით მოგვიპოვეს ჩვენ თავისუფლებაო.

— გაუმარჯოს!—ეგრილა ხალხმა.

— აბა ახლა მოვილაპარაკოთ, თუ ვინ ამოვირჩიოთ კომიტეტში.—დასძინა იმანვე ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაიყო. მთელი ნახევარ საათი ილაპარაკეს, ვიდრე ერთმანეთ-

თან შეთანხმებოდნენ. ბოლოს ჯარის კაცი ავიდა მაგიდაზე და შეეკითხა ხალხს:

— გეთხარით ვის ირჩევთო.

ხალხმა ერთი ჩვენი ნაცნობი მწიგნობარი და ექვსიც სხვა ამოირჩია.

— ამორჩეულბო შუაში მიდით! გაისმა ალბში ვილაცას ხმა ეს ხმა მაშინვე მთელმა ხალხმა გაიმეორა.

შვიდივე კაცი მაგიდასთან ჩამწკრივდა.

— აბა, ბიჭებო, უნდა გვასახელოთ, აი!—ისმოდა აქეთ იქიდან.

ერთმა შედთავანმა მიმართა ხალხს და უთხრა, რომ ისინი სოფლის შვილები არიან და უკეთუ სოფელი მათ რამეს დაავალბეს, ყოველივეს შეასრულებენ.

ყრილობა გათავდა. ხალხი ნასიამოვნები გაგონილით და ნახულით ხანტად იშლებოდა, თუმცა შუადღე დიდი ხანია გადავიდა.

ამ დროს შარა-გზაზე გამოჩნდა ეტლი, რომელიც სოფლისაკენ მოექანებოდა. ეტლს ზოგმა მიაქცია ყურადღება, ზოგმა არა, თუმცა ამ სოფელში ეტლით იშვიათად თუ ვინმე მოვიდოდა ხოლმე. არც გასაკვირვალა ვინაიდან დღევანდელი დღის ამბავს ყველას ყურადღება მოეცვა.

ეტლი ეკლესიასთან ახლო გაჩერდა. იქდგან გადმოხტა ვილაც ფინჯაკიანი და გაექანა მაგიდასაკენ.

— ხალხო, ხალხო! ნუ მიხვალთ, უკან დაბრუნდით ხალხო!—დაიწყო ხმა მალლა ყვირილი ახალ მოსულმა,—მოდით, ყური დამიგდეთ,—თქვენ ვის მოველით ხალხო!..

აქ უცებ შეჩერდა და დროშას დააშტერდა.

— ეს რა გიწვრიათ დროშაზე. ეს ხომ ბატონყობის დროინდელი სიტყვებია. ეს ხალხის მოტყუებაა, დალატია! ბრთხილად, ფრთხილად იყავით, ხალხო, თორემ დაიღუპებით. ნიკოლოზის მომხრეებს არა სძინავთ ისინი ყველგან არიან!..

ეტლიდან ორი სხვაც გადმოვიდა და მიაშურეს თავის ამხანაგს, რომელიც კვალად ხმა მალლა განაგრძობდა ლაპარაკს.

ხალხი გაშტერებული უცქეროდა ახალ მოსულებს.

— ჩვენ პარტიის წევრნი ვართ. კომიტეტმა გამოგვეზავნა. იცოდეთმართო ჩვენი პარტია არის ხალხის მომხრე. დანარჩენი პარტიები სტყუიან, სტრუობენ. ბრთხილად, ხალხო, ბრთხილად! აბა რა დაუწერიათ თქვენ დროშაზე—საქართველოს გაუმარჯოს? აქ ხომ სხვა ერებიც არიან, მაშ ისინი უნდა განდევნოთ ან ამოეხცოთ? ეს სიტყვები ბურჟუაზიამ მოიგონა. მაგნიარ დროშას თავადები ატარებენ. მუშას ეგ რათ უნდა. ძირს მაგისთანა დროშა.

— ძიირს!... იგრიალა ბრბომ.

აღამა ტოკვა დაიწყო. ეტყობოდა ვილაცა სცდილობდა მის ჩმორთმევეს. ორჯერ ძირსაც დაიხარა.

მაგიდაზე გამოჩნდა მეორე ახლად მოსული, უფრო სუფთად ჩაცმული ფინჯაკანივე. ეტყობოდა ხალხი ამ უკანასკნელს კარგად იცნობდა, რადგან სიტყვაც კი არ ათქვივნა და ერთხმად შეძახა:

— ძირს; ეგ არ გვინდა. კნიაზია, არ გვინდა!

მაგიდაზე უმაღლესამე ახალი მოსული ავარდა, ამ უკანასკნელს შერეული ტანისამოსი ეცვა. რუსული ქუდი, ახალუხი და ქულიანი ჩექმები!

— ჩუმათ!—ასვლისთანავე ხმა მალა მიმართა მან ხალხს. — ჩუმათ, ეს კნიაზი ჩვენია. თუმცა კნიაზია, მაგრამ, ჩვენი პარტიისაა ეური დუადეთ! ხალხი გაჩუმდა.

კნიაზმა დაიწყო:

— თუმცა მე რაპქვიანა მოვედე აშხანაგებთან, ისე, რაპქვიანა, უნდა ვთხრათ რ მე, რაპქვიანა. მაგრამ ქართული კარგად არ ეიცო და ამ ტომ მე ბერს არ ვილაპარაკებ... მაგრამ რა პქვიანა...

დაიბნა კნიაზ.

— აი იმისთანა კნიაზებს, ხალხის ერთგულებს, გაუმარჯოს!

წამოიძახა მსაპე ახალ მოსულმა.

— გაუმარჯოს!—იყო ხმა მაღალი პასუხი.

ხალხი მეტად დაინტერესდა ამ ახალ ამბით და მაგიდას გარს შემოეხვია.

პირველმა და მესამემ ილაპარაკეს. აჯერებდნენ ხალხს, რომ წინანდელი არჩევნები თავადებმა თავის სასარგებლოდ მოახდინეს და რომ მათ მოსვლამდე არჩეულნი ხალხის მოწინააღმდეგნი არიან და არჩევანი მეორედ უნდა მოხდესო. უსათუოდ ჩვენი პარტიის კაცები დაასახელებთ, თორემ სხვები გაგყდიან, გილაატებენო.

ხალხი შეჩოჩქოლდა, ღრიანცელი მორთო. აღარ იცოდა რა ექნა.

— ხედავთ, ხედავთ კიდევ როგორ გვატყუებენ. ხედავთ რას გვიშვრებიან ჩვენივე სოფლის შვილებიო.

ამბობდა ზოგი გულუბრყვილო. ამორჩეულთაგანი იქ არავინ სჩანდა. იმათ კომიტეტის კრება გაემართათ სოფლის კანცელარიაში.

— ხედავთ, ხალხო, როგორ მიიმალ მოიმალნენ,—წამოიძახა მაგიდას ახლო მდგომმა სოფლის მელუქნმა,—აღბად შეგწინდათ ამათი მოსვლისა. იცოდნენ რომ იმათ ესენი გამოამელაფნებდნენ.

— სხვები ავირჩიოთ, სხვები ისინი აღარ გვინდანან!

— ხალხი კი აღარავინ არა და აბა რა ამორჩევა და მოხერხდება.

— აღარც გვინდა ამაზე მეტი. ჩვენ კი ხალხნი არა ვართ.—გაჰკიოდა მელუქნი.

დაასახელეს შედი კაცი, რომლებშიც მოჰყვა მდუქნეც

წასული ხალხი ბევრი უკან დაბრუნდა დ იწყო ერთი აღიარათი. ძველი ამორჩეულნიც მოვიდნენ. თუმცა კომიტეტის კრება ჯერ არ გაიხეებულყო, მაგრამ გაეგოთ რა პარტიის კაცების მოსვლა, კრება შეწყვიტთ. მათ მოსვლამ უფრო არა მ ნასტური გაისმოდა ბრბოს:

— ძი-ს! არ გვინდიხართ, არა! გინდოდათ მოგეტყუებინათ, განა?!

ამოდ სცდილობდა ჯარის კაცი საქის გამობრუნებას ხალხი ორ ზანაკად გაიყო.

ზოგი ახალ ამორჩეულების მომხრე იყო, ზოგი წინანდლებისა საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელის გამოსაღებადაც მზად იყვნენ. პარტიოდენ გონება-ღანძღვა-ღა ისმოდა.

— მაჩვენეთ აბა თქვენი სიდეტელსტ-  
გო? აბა სადა გაქვთ ქალაღლი. ვის მოწერი-  
ლობით მოახდინეთ ამორჩევები?

რუსული კილოთი ხმა მალლა შეეკითხა  
მოსული კნიაზი სალდათს და ძველ ამორჩე-  
ულებს.

— ქალაღლი! ქალაღლი!..

ღაიწყეს ღრიანცელი ხალხში.

აქ კნიაზმა ამოიღო უბიდგან რაღაც ბე-  
ქელიანი ქალაღლი და ხალხის დასანახავად  
ქნევა დაიწყო. ამით კი ხალხის თვალში საში-  
ნლად დამარცხდნენ სალდათი, ძველი ამორ.  
ჩეულები და მათ მომხრეები.

— ქალაღლი!..

გაჰკიოღა უკვე უმრავლესობა და მუშ-  
ტით ემუქრებოღა იმათ, ვინც უქალაღლოდ  
ამორჩევები გაზარტა.

ალაში ტავს გაშმაგებით აქნეღა.

— ქაქ...

გაისმა უცებ. ალამს ტარი გაუტყეს.  
ალაშია ქეღი მოხარა, ძალას დაემორჩიღა.  
გაშმაგებული ბრბო ალამს ჰვხრეწღა.

— რას ჩადიხართ ხალხო! დაწყნარღით  
ხალხო!

ღარბოღა ჯარის კაცო. ამშვიღებღა ხა-  
ლხს, მაგრამ ვერა გაეწყო რა.

ცამ თითქო გაეგო რაც ხდებოღა ღეღა-  
მიწაზე და მხიარული სახის გამომეტყვეღება  
დაჰკარგა.

მზემ კი ღრუბელი აიფარა პირზე და აჩქა-  
რებით დასავლეთისაკენ გაჰკურცხღა.

დ. ლუკაშვილი

# „ფიქრი სანატრი“ და „ფიქრნი მღელვარნი“

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 33)

ტაძარი, რომელშიც მარად უქრობელი წმ.  
ღამზარია რომელშიც ანგელოსთაგან ისმიან გა-  
ღობის ხმანი, ეს იგივე ტანი არიან ბუნება—  
სამუარო, რომელნიც მეფე ღავითის სიტუციით  
უთხრობენ დიდებასა უფღასასა.

ბარათაშვიღმა მთაწმინდაზე შემოღამუბაში

უკვე ნახა ბუნებისაგან ღვთის-მსახურება ამ ტა-  
ძარში და ის უქრობელი ღამზარიც, რომელიც  
ზეგეტის გუღში აღენთო. ამ ტაძარზე სწერს ბო-  
გტი:

„გზოვე ტაძარი შესაფარი უღაბოღ მღგარი,  
მუნ ენთო მარად უქრობელი წმ. ღამზარია.  
ანგელოსთაგან იგროღა მუნ ღავითის ქნარი  
და გაისმოღა ციურ დასთა გაღობის ხმანი.  
მწიარი სოფღისა და მშკრადი მისისა ღეღციით  
მუნ ვედიკეღი განსვენებას წრფღასა ზრასციით.  
გუღსა, მოკღუღსა გაცთ სიავით და ბედის  
ბრუნციით,

ღამზარი წმინდა განმეტობღა ციური სციავით.  
ამა სიავით ნეტარციით ესრეღ აღგებუღს  
მეგონა ვნოვებ სასუფევეღს აქ დაშენებუღს.  
მინეღღა კოსმიური ექსტაზი, გაჭჭრა ტაძარი  
მაგრამ საწუთრო განა ვისმე დიდხანს ასარებს,  
გაჰჭრა საწუთრო და უღაბო ჩუმაღ მღელვარებს.  
მას აქეთ ჩემს გუღს რეტარება არ საღარებს?  
მის ნაცღელად სეგღა და წეღღადი დისიდგუ-  
რებს

მოისზო კვეღად მისი ნაშთი და მისი კვეღი...  
ვერსად აღგანთე დაშთომიღი მისი ღამზარი.  
ესრეღ დამახშო უუღღმართმან ნუგეშის კარი  
და ღეღაღობღად ისევე მწიარი მიუსაფარი“.

მის ნაცღელათ ბარათაშვიღმა სხვა ტაძარი  
ჰზოგა, სხვა „საღოღეღა“, სხვა უქრობელი  
ღამზარი. ეს იყო მნათი მზე ცხოვეღი—სამიფ-  
ნურო გრძნობისა. ამიტომ შეიშრო მან ცრემლი  
თგაღსეღ და ხეღასღათ მისტიკურ შუებას:

„შევიშრობ ცრემღსა ქირთ მანეღეღებღს,  
გუღსა დაფიწავუ დასანატრებღს  
და მისსა ფერფღსა, ვითა სამსხვერზღოს,  
შეგწინავ სეტრფოს ჩემსა საღოღეღელს.“

ზოგტი ტაში რომეღებღა სამოთხეს, ზენარს  
სადგურსთურმე იგი ქვეყნადღე უოფაღა—სეტრ-  
ფოს თგაღებში.

„მის თგაღათა ჰხარობს სამოთხე ჩემი,  
მისი დამია შუების მომცემი,  
ჩემი წარმწევეღი, მაცხოვრებელი  
განმობრძნობელი გამნეღებელი.“

როგორ მოხდა რომ ბარათაშვიღმა სანიქვევე-  
ნიო ტრფიადი სამქვეყნიოთი დაიკმაყოფიღა—  
მას შეუსხივა და შეუერთა? რომ მის სეტრფო-

ში მოცანსებულება „ცის ნიჭი ქვეყნად“: „ვით  
არ ვადილო სიძურთუარ ღმერთა, უფუღნი კე-  
თიღნი მან შეაკრთა სუფსა მკჷმინა, ცის ნიჭი  
ქვეყნად. და თავის მკობად ჰქმნა იგი მკოსნად.“

რა არის ეს „ცის ნიჭი ქვეყნად“? ეს იგივე  
უგვდავების მარადისობის გრძნობაა, ესე იგივე  
მეტაფიზიკური გულის თქმაა, რომელიც ჩვენ  
უგვე მთავრინდასვლედ გავიცნათ.

„არ უიკვირო სატრფოლო შენსა მკოსნისა  
გულის თქმა, მოკვდავსა ენას არ ძალუძს უგვდავ-  
თა გრძნობათ გამოთქმა“.

ეს გრძნობაც ცისკენ მიაქანებს ზოეტს კოს-  
ვიურ ძალუბთან შესაკრთებლად და სათანამშრომ-  
ლოდ:

როგორც უგვე ვნახეთ.

ბარათაშვილის სიუვარულს რომ მარადიული  
გრძნობა გამოვსკოლოთ იგი დაჩნება მსე უსნივ-  
უტეცხლოდ.

„ნუ თუ ამ სულის წადილსაც ჰრქვა სიუვარუ-  
ლი სხვათაებრ?“

მაშინ მსეტ უსნივ უტეცხლოდ შეიძლება ნა-  
თვან ვარსკვლავებრ.“

ბარათაშვილის სატრფო მშეენიერის სულოთ.  
ეს სულიერი სიმშეენიერე კა ჴეციის მადლია.  
იგი ამტკიცებს კანის უგვდავებას, მის ღვთის-  
ნიერობას.

„მშეენიერება ნათელია ზეცით მისული,  
რომლით ნაოღლებს უფუელი გრძნობა სული  
და გული,

და კანთაშორის ვით კერძოსა ღვთაებრობისა,  
რად გვამს არ ივოს საუკუნო მადლი ტრფო-  
ბისა“

სულის სიმშეენიერე განხორციელება  
უგვდავება — მარადისობისა. იგი სდგან დროისა  
და სივრცის გარეშე:

„თვით უგვდავება მშეენიერისა სულში  
მდგრძარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც უა-  
მი ვერ დააბერებს.

ასეთ სულთა კავში შობს მისტიკურ სიე-  
ვარულს, სიმიქვეყნის — მარადიულს.

„მხოლოდ კავშირი ესრედ სულთა შობს სიე-  
ვარულსა

ზეგარდმო მადლით დაუსხნელათ განმტკიცე-  
ბულსა.

„მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა ერთ  
სასუველი,  
რომ მის უტკობილეს არც თუ არის სასუვე-  
გული.“

მას ცისა სხივით აცისკრფუნებს მშეენიერება  
და უგვდავებით აგვირგვინებს ჴეშმარიტებაა.

რადგან ჴეშმარიტი სიუვარული ასეთი სა-  
ნატრელი გრძნობაა, ზოეტო უგულას ურჩევს,  
რომ ჴანცადოს იგი, და ეუბნება: „ნუ შიარ-  
დებ სიეშაწვილეს ტრფობისა ჯღსა“ სასადილოა  
ბერე კაცი რომ ეშაწვილობდეს, და საბარალოა  
როს ეშაწვილი ბერიკაცობდეს.“ მხოლოდ  
აერთხილდებს, რომ არ შეემსკვალენ ისეთ ქალს,  
რომელიც ეს საზენაო მადლი მღაბლ გულის  
ტადუქნევათ,

„მხოლოდ ერთს გირჩევთ და განსოვლეთ ესე  
თათბირი,

მეწმუნეთ ძმანო, ნატადი მქვეს ეს გულის  
ჭირი

არ შეემსკვალეთ მოკისკასე კეკელა ქალსა  
სულის დამტევევენელს და გრძნობათა ცუდ-  
მომდერაღსა

ქაბუკის ენა მას აზრებს, ასიამოვნებს  
ხლოთ სიუვარულს გული მისი ვერ მ იკარებს.“

ჩვეულებრ ვათ, სიუვარულიწ წუაროთ — ქქეს-  
თა შორის. — ხორციელი სიღამაზე მიხნიათ თქ-  
რობენ, რომ უღამაზესი ქალი უადრეს სიევა-  
რულს ადაგზნებსო. ბარათაშვილი სულ სხვას  
თქრბებს. მისი აზრით წუარო უადრესი სიევა-  
რულისა მშეენიერი სულია, სული უჭკნობი,  
უგვდავო უბერებელი. ხორციელი მშეენიერებასა-  
გან ადრული გრძნობა, თუ მის სულიერი სი-  
შეენიერე არ უძღვის წინ. ისეთივე უმტკიცობა  
და მსწრადელ წარმავალი, როგორც თვით სიღა-  
მასე.

„რად ჴევედრი კანსა ბანოვანს ზირ-უმტკიცო-  
ბას?

თუ ვმღური შენ ტრფობისა ცვალებად გრძ-  
ნობას,

რომ არ გემსკვადვის საუკუნო ტრფობაღობითა  
ჴვავს, არ ზასუნს სტემ შენ მას სულით მშე-  
ნიერითა

სიღამაზეა ნიჭი მხოლოთ ხორციელები

და ვით უკავილი თავის დროზე მსწრაფლად დასტკნების. ბერძნული კული, მხოლოდ მისდა შენამსტკვლები ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცებო.

ჩვენ დროში სქესობრივი სიუვარული მისტიციზმის საზღვარს იშვიათად ახწევს. რათა იმიტომ რომ დავიწვევს მეთაფი სიუვარულის ზრდისა თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს არის უმანკობის დაცვა დრომდე. დღეს ნესტან-დარეჯანს აღარაფერ ბაძავს, ტაროელს რომ სწორდა „წახი გამზრდელო სიუვარულისა, მის შენგან დანერგულისა“ დღევანდელი აღმართი ესწრაფვის სიუვარულის ნერვს, რაც შეიძლება ნათელი ჩქარა გამოადებინოს. მის აღზრდაზე არ ზრუნავს. სიუვარულის ვარდს—კაკრობაშივე სჯიფტინან, და ფელეთენ, არ დაცდიან, რომ სისრულეს მიახწიონ რთგორც ფერაგნებით ისე სურნელაგნებით. აი რით ახსნება დღევანდელ მიჯნურთა „ზირ-უმტკიცება“ ხშირი დაღატი და გურა დღევანდელი სიუვარული—მიჯნურთა კი არა სიძვია

„იგი სხვაა, სიძვია სხვაა შუა უზის დიდი მსურია“

ზირველი ცისკენ მიაფრენს კასამღობად, მეორე დაბლა ხრის კასაზირუტეველად.

**დ. დეკანოზიშვილი**  
(ვაგრძელება იქნება)

**ქართულ კლუბში** ხუთშაბათს, მართობის-თვის მ1 გამართა ჩვეულებრივი ქართული წარმოდგენა ვასო აბაშიძის მონაწილეობით დაიდგა „ძუნწი“ და „ქალის ძალა“. ძუნწი კარნატიკის რთლი შესრულა ჩვენმა სახელაგანმა ვასო აბაშიძემ, რომელმაც თავის მსატრულ თამაშით დაგვასურათა ნამდვილი ტიპი ფულის სიუვარულით კაცოებუდას სამხსისა. ნიკიერი კორიშელი მშვენებრად ასრულებდა იმერელ მოსამსახურის როლს. ებ მსახობი გურადღებას აქცევს თავისმრავალგროვან მსატრულ თამაშით. დანარჩენ მსახობებსაც არა უშავდათ, მხოლოდ... ცოტა უგულობა ეტყობოდათ.

სასურველია, საზოგადოება მეტი ესწრაფოს და ქართულ წარმოდგენებს. თვერეტებზე დარბახი გამოქედლია სოფლე ხაღხით, და ქართულ წარმოდგენებზე კი ნახევრად ცაღყერია... ბაღში დასეირნობენ.

კვირას, ენკენისთვის მ, გამართა დიდი ინტერნაციონალური საღამო ქართულ, უკრაინულ და უსტრანულ მხედრების სასარგებლოდ. საღამომ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა, ბაღში

ტევა არ იყო. ბირველ განყოფილებაში ქართულმა მსახობებმა წარმოდგინეს გოდევ „თაბგული“. წარმოდგენამ დიდებულად ხაიარა.

აი, როდესაც აუდიტორია ხავსეს სოფლე, ჩვენი მსახობანი რა კარგით ასრულებენ თავიანთ შოვალებას. შემდეგ ვახანთ გუნდმა ტრეტენკოს ღობობობით შესრულა რუსული და უკრაინული სიმღერები. საზოგადოება ნასიამოვნები დანხა, განსაკუთრებით მოგწონათ უკრაინული სიმღერები, არა უშავდა რა ესტონელ გუნდს, მხოლოდ ქალების ხმები ძალიან მოაფრეტენ.

ქართულ და მეგრულ გუნდებმა არ შიოდეს მანაწილეობა „ზონგახვისიმი თბსტოიატელსტავი“.

შემდეგ განყოფილებაში გამართა დეკლამაცია და სოლო-სიმღერები. უკრაინელები კითხულობდნენ თავის უკვდავ შვენკეს დექსებს და დაურეს ფანდურზე. ქართული ნომრები შესრულეს მსახობმა ბერკოინმა, რომელმაც იმერკა ერკელეს არა ქართულ პირის „დაღატიდან“ და ვ. ღორთქიფანიძემ. უკანასკნელმა შვენინგრად შესრულა „შენ გეტრფი მარად“, რამაც ატაცება და ხანგრძლივი ტაშის ცემა გამოიწვია საზოგადოების მხრივ. უნდა აღენიშნოთ, რომ შესახობ ვ. ღორთქიფანიძეს ძალიან სასიამოვნო დამუშავებული ხმა აქვს (ბანი) და ახლო მომავალ ქართულ თვერის დასში იგი საშატიო ალაგს დაიქერს. ვ. აბაშიძემ და გ. გოდევანოვმა იმდერეს გუმბეტება, რითაც ხაღხი ბევრი აცინეს. თნერტის შემდეგ გამართა ტეკვა

შემთსავალი საღამოსი მ3 ათას მან უდრას. დიდათ სასურველია, ამნაირი საღამოები ხშირად იმართებოდეს, სადაც დანაზრული ერები გაიცნობენ ერთმანეთის შოვაას და მუსიკას და ერთმანეთში ერ თაბას დაამკარებენ.

**რელქტორ გამომცემელი იოსებ იმელაშვილი**

<b>ქართული კლუბი</b>	
1 კვირის პროგრამა	
კვირა	—საღამო წარმოდგენა.
ორ შაბათი	—ოპერეტა. მუსიკა
სამ შაბათი	—საოჯახო საღამო
ოთხშაბ.	—სინემატოგრაფი. სიმბ. ორკ.
ხუთშაბ.	—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
პარასკ.	—ოპერეტა. ბილეთები: 1მ.-30კ-დ
შაბ	— საღ.
კვირა	—რუსულიწარმოდგენა. ბილეთი 50-30კ.

(გაგრძელება იხ. № 37)

მეორეს არ უარჰყოფენ... ეს მეგობრობა, გესმის თუ არა? ეს მეგობრობა იმაზეა დამყარებული, რომ ჩვენა გვაქვს გონებრივი თანხმობა, ერთნაირი განვითარება. ამიტომ ჩვენ ერთმანეთისა გვესმის, მაშინ როდესაც სხვებს არაფერი გაგვებათ. მაგალითად, თქვენ... იმ დროიდან, რაც ეგ ქალი ჩვენსა მოვიდა, მე სწორეთ გადავხალისდი... ჩემში დაიბადა გაშბედაოა და ჩემი საკუთარი თავისადმი პატივისცემა... ჩემში გაიღვიძა შემოქმედობითმა ძალამ და ყველა ეს სასწაული მოახდინა მისმა ხელის შეხებამ. მე ვგრძნობ, რომ ის ქალი აუცილებლად სჭიროა ჩემი პიროვნების სრული განვითარებისათვის. და ყველა ამის შემძლებელია მეგობრობა!... გესმის? განა მამაკაცსა და დედაცაც არ შეუძლიანთ მეგობრები იყვნენ?

**ბრაუნ.** ჰანეს, ნუ კი გაჯავრდები, და შენ არ შეგიძლიან ცხოვრებას ფხიზელი თვლით უყურო...

**იოჰან.** ოჰ, რა ხალხი ხართ! რას შერებთ არა გაგვებათ რა! თქვენ სჯით უბრალო-რუტინის მიხედვით, შაბლონურათ. მე კი კარგა ხანია ამ გვარ მსჯელობას მალა მოვიქეცი, თუ გიყვარდეთ—თავი დამანებეთ, ხელს ნუ მიშლით: ჩემში რა ხდება არამც თუ არ გესმით—არამედ ვერც კი მიმხვდარხართ. თქვენი აზრების შემდეგ რო საფრთხე მოგვევლის, ამაში მე თითქმის დარწმუნებული ვარ... მე ხასიათი შემწვევს, და მტკიცეთაღ გადავწყვიტე, განსაზღვრული ფარგლის გადაუცილებლად,—მივალწო მას, რის შესრულებაც შეადგენს ჩემი არსებობის უმთავრეს დანიშნულებას, საამისო გამბედაობა მაქვს, გესმის თუ არა?

**ბრაუნ.** დიახ, მესმის და თანაც ვხედავ, რომ შენი მისწრაფების განხორციელება შეუძლებელია. ჰანეს, შენ გინდა შეერთო ის, რის შეერთებაც შეუძლებელია. ჩემის აზრით, ამ საქმეს მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს: შენ უნდა წახვიდე, აუხსნა იმ ქალს საქმის გარემოება და სთხოვო, რომ წავიდეს.

**იოჰან.** გაათავე? გეღირსა გაათავება? რომ

საბოლოოდ გაგაგებინო. საქმის გარემოება, რომ არავითარი ექვი აღარ გქონდეს და ტყუილა-უბრალოთ ლაპარაკი აღარ დაგქონდეს, აი რას გეტყვი (თვითუფს სიტყვას შეაფიქრე ამბობს და თან თვალები უბრწყინდება): რაც თქვენა გსურთ,—ის არასოდეს არ მოხდება! ეხლა ის აღარა ვარ, რაც რამდენიმე დღის წინეთ ვიყავი. ეხლა ჩემზე გაბატონებულია რაღაცა ძალა, რომელთან შედარებითაც—თქვენ მეტად სუსტათ ხართ, და ამიტომ თქვენს აზრს მნიშვნელობა ეკარგება. მე ჩემი თავი ვიპოვე და ვიქნები ჩემდა თავად! დიახ, ჩემდა თავად; თქვენი შეერთებული ძალის წინააღმდეგ... (საჩქაროთ გადის კაბინეტში.)

**ბრაუნ.** (მსრებს იჩქეს)—

**მოკმედება მეოთხე**

(სადილობა გადსულია, ხუთის ნახევარი აქნება სტოჯთანა სხედან კეტე და ფრაუ ფოკერატე კეტე ბავშვის პერანგსა ჰკრამს, ფრ. ფოკერატე ჰქსოვს კეტე ძაღზე გაშხდარია, ფარდის ხედის შემდეგ რამდენიმე წამს სიჩუმეა. კაბინეტიდან გამოდის იოჰანესი. ჯერ ქუდი არ დაუხურავს. ზაღტოს იცვამს და წასვლას იმარებს)

**იოჰან** ანა წავიდა.

**ფრ. ფოკ.** (გაჭაფრებთ) ეს კი იყო გავიდა.

**იოჰან.** (შიდის კეტესთან და შუბღზე ჰკოცნის) წამალს ხომ სვამ თვეთავის დროზე?

**ფრ. ფოკ** რა ქნას მარტო სმამ! არაფერს კი არა შევლის და!.. მე ვიცი, ყველა წამალზე უფრო მაგას რა არგებს...

**იოჰან** ეჰ, დედი!

**ფრ. ფოკ.** კარგი აღარაფერს ვიტყვი!

**ფრ. კეტ.** წამალსაცა ვსვამ და საერთოთ რო ვთქვა—კარგათაცა ვარ.

**იოჰან.** მე თუ მკითხავ—დღეს უკეთესი ფერი გაქვს.

**ფრ. კეტ.** მეცა ვგრძნობ რომ უკეთავარ-

**იოჰან.** თავს კარგათ გაუფხილდი. მშვიდობით! ჩვენ მალე დავბრუნდებით.

**ფრ. კეტ.** საით? შორსმისდინართ?

**იოჰან.** არა ისე ცოტას გავივლით ტყისკენ ნახვამდის! (გადის გერანგზე ცოტას ხანს სიჩუმეა. მიმავალი მატარებლის ხმასმის, შემდეგ მოისმის შორიდან სადგურის ხარის ხმა)

**ფრ. ფოკ.** გესმის? რკინის გზის ხარია

ფრ. კეტ. ქარს მოაქვს, დედი. (მუხღუბ-  
ზე დაიღებს ხელსაქმეს და ჩაფიქრდება.)

ფრ. ფოკ. (გაერღზე გაღახუდავს კეტეს)  
რაზე დაფიქრდი. კეტე?

ფრ. კეტ. (მუხაობას იწეებს). ისე... რა-  
ლაცაზე ფიქრობდი...

ფრ. ფოკ. მაინც რაზე?

ფრ. კეტ. სწორედ არ ვიცი რა ვთქვა.  
(ისევს დგება) ეხ, წავალ პატარა ხანს წამოვ-  
წვები.

ფო. ფოკ. (ისივს დგება. კეტეს ხელზე  
ხელს უსვამს) ჰო, ჰო, რასაკვირველია უნდა  
წამოსწვეთ თუ დაილაღე

ფრ. კეტ. მაჯა გამიშინჯე, დედი!..

ფრ. ფოკ. (ხელს აუღებს) ყინულისავით  
ცივია.

ფრ. კეტ. აბა ერთი ქინძისთავი აიღე.

ფრ. ფოკ. (ფერ ბედავს გამოდრებას) რი-  
სათვის? რა უნდა უყო?

ფრ. კეტ. აი უყურე! (გლის სისწრაფით  
რამდეკენმე ხელი გულში ჩხვლეტავს)

ფრ. ფოკ. (ხელს უჭერს) მოიცა, ქალო,  
მაგას რას შერობი?

ფრ. კეტ. (დამაღივთ) არც სუარა მტო-  
ვა. სრულებით ვერაფერსა ვგრძნობ.

ფრ. ფოკ. ეგ რაღა მოსაგონი იყო! აბა  
წავიდეთ, წავიდეთ! მიწიქ პატარა ხანს, მი-  
წიქ, მიწიქ. (ოდნავ ხელ მოკიდებული გაჭედავს  
საწილ თათხში). (ტოტა ხნის შემდეგ ბრანუნი  
შემოდის. ისღის მღიამას და ზაღტას და ორ-  
იუეს ჭეილებს კარბთან საკიდურზე.)

ფრ. ფოკ. (ნახევრად მოდებული საწილდს  
არბიდან თავს გამოჭედავს) თქენა ხართ, ბა-  
ტონო ბრაუნ?

ბრაუნ. სელამო მქვიდობისათ, ფრაუ ფო-  
კერატ!

ფრ. ფოკ. ამ საათში მოვალ! (კარბებს  
მიეფარება. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოდის,  
საჩქაროდ მიდის ბრანუნთან და ხელში დეპუშას  
ანჭებს) აბა, გამოიცანთ ვისგანაა? (ბრანუნი  
რო დეპუშას კითხულობს, ფოკერატისა გაფაფ-  
ტებით ადევნებს თავს იმის სახის გამოშვებუ-  
ლებს)

ბრაუნ. (დეპუშას წაკითხვის შემდეგ).  
ბატ. ფოკერატს წინათვე შევატყობინეთ რა-  
შიცაა საქმე?

ფრ. ფოკ. ერთი სიტყვაც არ წამომ-  
ცდენია! არა, არა, არა, მე არაფრის გულისა-  
თვ ს ვერ გაგბედადი თუნდა გაკვრიო მაინც  
არის რომ მომხსენებინა.. მე მხოლოდ ის  
მივწერე, რომ მოსულიყო და ვენახეთ, რა-  
დგანაც, უეჭველია თავს მალე ვერ გამოვა-  
ხწევ; კეტე ისევ შეუძლოთაა მეთქი! მეთი  
კი არაფერი მიმიწერია, ასე წარმოიდგინეთ,  
ფრეილინ ანნა ისევ აქვეა მეთქი, ამის შესა-  
ხებაც კი ერთი კრინტი არ დამიძრავს...

ბრაუნ. (მრების აწევით) აბა, მაშ მე აღ-  
რა მეთქმისრა...

ფრ. ფოკ. (შეშინებული) იქნება თქვენა  
ჭფიქრობთ, რომ ტყუალა ზებალოდ გავსარ-  
ჯე ის კაცი? იქნება უკეთესი იქნებოდა, რომ  
სრულებით არაფერი მიმიწერნა?.. მაგრამ ეს  
კეტე რომ მიდნება სანთელივით? მაშინ რაღა  
ფქნა რომ სრულიად ჩალოგინდეს, ეხლაც  
წარა-მარა მიწვება ხოლმე. ისე გაუხდელ  
წვება ხოლმე. აი ეხლაც მიწვა კრაოტზე...  
მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან, ბატ, ბრა-  
უნ! პასუხის გების ზიდვა მარტო მე აღარ  
შემიძლიან! (ცხვიარს იწმენს)

ბრაუნ. (დეპუშას ჩაიტყერის) ექვსი საათის  
მატარებლით მოდის? ეხლა რომელი საათია?

ფრ. ფოკ. ჯერ მხოლოდ ხუთის ნახევა-  
რია.

ბრაუნ. (მღივრე ფიქრის შემდეგ) ამ კვი-  
რის განმავლობაშ განა ცვლილება არაფერი  
მომხდარა?

ფრ. ფოკ. (უიშედით აქნევს თავს) არა-  
ფერი.

ბრაუნ. წასასვლელად ერთხელ მაინც არ  
აბარგებულა?

ფრ. ფოკ. ატა-ტატა!. კრინტიც არ და-  
უძრავს.. იოჰანესი ხომ სულ ერთიანათ მო-  
აჯაღოვა. წამათაც ხომ ძნელი ასატანი ხანი-  
თი ჰქონდა, მაგრამ ამ ბოლოდრომდის მა-  
ინც ჩვენ ჰქვანზე დაგვეყვანდა ხოლმე. ეხლა  
კი აღარაფერი გაგონება არა აქვს. ვერა ჰხე-  
დავს და აღარც ესმის რაც მის გარშემო ხდებ-  
ზა, ფიქრი და გონება სულ იმაზე აქვს, მხო-  
ლოდ იმ ქალბატონზე!.. აღარც დედა, აღ-  
არც ცოლი!.. აღარავის ყურადღებას არ გვა-  
ქცევს.. იმის მეთი საქმე აღარ აქვს. ოხ, ღმე-

რთო ჩემო. რაქნა? რა შეშველება?. ღამე აღარ მძინავს, თვალი ვერ მომიხუტუნია, ათასი რამე ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერე მომიგონია (სიხუმრე)

**ბრაუნ.** სწორე მოგახსენოთ არ ვიცი კარგათ მოგივიდათ რო ბატონი ფოკერატი დაიბარეთ თუ არა... შეიძლება ჰანესი უფრო მეტათ გალიზიანდეს... ვინ იცის რას არ ჩაიდენს... და მერე... იმას არ უნდა ფრეილინს აჩვენოს... საზოგადოთ, მე ვგრძნობ, რომ იოჰანესი თვითონ გამოძვრებოდა მაგ მდგომარეობიდან.

**ფრ. ფოკ.** მეც მაგრე ვფიქრობდი! ამიტომ დავეთანხმე მაგათს თხოვნებს და დავარჩიე აქ მაშინ, როდესაც იოჰანესმა ის ფრეილინა უკანვე დააბრუნა. დიახ, მე დავარჩიე, მაგრამ იმის შემდეგ საქმე სულ უფრო ცუდათა და ცუდათ წავიდა. ესლო პირები შეკრული გვაქვს: არ შეგვიძლიან კრინტი დავძრათ. ამ საქმის შესახებ კეტესთანაც სიტყვის თქმა არ შეიძლება. ვისლა ვთხოვო რჩევა-დარიგება?

**ბრაუნ.** ფრაუ კეტეს ამ საქმის შესახებ ჰანეს არ მოლაპარაკებია?

**ფრ. ფოკ.** როგორ არა. ერთხელ შუა ღამემდის გაბმით ილაპარაკეს: ვინ იცის იქ ერთმანეთს რა უთხრეს. მაგრამ კეტე მეტი მომთქენია. როდესაც მე ჯავრობას დავიწყებ ხოლმე, ის მაინცი იოჰანეს ექომაგება. კეტე სრულებით ვერა სცნობს მაგ... მაგ... ქალბატონს... ვგრედ წოდებულ... კეტე იმ ქალსაც ხელს აფარებს და ექომაგება. (ცოტა ხანს სიჩუმეა).

**ბრაუნ.** ერთი აზრი მომივიდა... არ შეიძლება რო ფრეილინ ანნას მე თვითონ მოველაპარაკო?

**ფრ. ფოკ.** (საჩქაროთ) ეგ ხომ, მართლა, კარგი იქნება!

**ბრაუნ.** ბევრჯერ მიფიქრია წერილის მიწერა... სწორე გითხრათ, ფრაუ ფოკერატი, მეშინია... ვაი თუ ბატონმა ფოკერატმა თავისებურათ მოიწადინოს მაგ საქმის გამობრუნება და... ვერაფერ მდგომარეობაში ჩავცვივით.

**ფრ. ფოკ.** დიახ, დიახ, მართალია! მაგრამ რა შექნა? გული დამეტანჯა. მოელაპა-

რაკე, გეთაყვა, ფრეილინს. (ანნას და იოჰანესს ისმის) ახა, ღმერთო ჩემო. ესლო, ამ წაშში არ შემიძლიან იმ ქალის შეხვედრა. (გაღის)

**ბრაუნ.** (ეფუშანებს, ანნა და იოჰანესი ახსალა სხანან ბრაუნზე გაღის იმავე კარებიდან, საიდანაც ფრ. ფოკერატი გავიდა) ფრ. ანნა შემოდის შეშახანდიდან)

**ფრ. ანნა.** (შლიამას ისღის და თან ელახაკებს იოჰანესს, რომელიც შეშახანდში დარჩა) ბატონო ექიმო, რა მოხდა იქ?

**იოჰანეს.** ალბათ რამე ამბავია. პოლიციელი წავიდა ნავით (შემოდის) ეს ყოველთვის ცუდი რამის მომასწავებელია, ალბად რამე უბედურება მოხდა!

**ფრ. ანნა.** რა ნაღვლიანი წინაღ გრძობა გაქვთ!

**იოჰან.** აქ იშვიათი არ არის უბედური შემთხვევა. ეს ტაბა საკმაოთ საშიშია. ფრეილინ ეგ რა გიჭირავთ ხელში?

**ფრეივილ, ანნა** კურდღლის ფეხებია, ბატ. ექიმო! სახსოვრად თან წავიდებ...

**იოჰან.** როდესაც წახვალთ... ეგ კი, იმედია, მალე არ იქნება,

**ფრ. ანნა.** თქვენა გგონიათ (დახუმრებთან და თავთავისთვის ბოჯთასა სტეჟენ).

**ფრ. ანნა.** ერთხელ არა ადრე დამდებ! **იოჰანეს** მზის ჩასვლის შემდეგ საკმაოდ გრილა კიდეც, ღამმა ავანთო?

**ფრ. ანნა.** როგორც გნებავთ, თუ გინდათ დავიძინოთ [ჰდებს]

**იოჰანე.** (ისიც ჰდებს სკამზე მოშორებთ სიხუმრე და ბინდებს... ეს ძველმეცობრებით იღვიძებს)

**ფრ. ანნა** დავიწყებული ზღაპრები აგონდებოდა კაცს, არა?

**იოჰანეს.** დიახ... ზოგიერთი ზღაპარი საუცხოვო რამე!

**ფრ. ანნა.** ჰო და! იცით მერე უმეტესობა მათგანი როგორა თავდებ?

მინის ეშმაკი ჩავიცვი და ფეხი ქვასა დავეცი... ის დამისხვრა „კლინგ“ \*) და ბედნიერებასაც ბალო მოედო.

\*) ზარმა ჩამოაწვარუნა

**იოშანეს.** იქნება ესცნადელიანი წანად გრძობაა?

**ფრ. ანნა.** არა! ა მაში ცოტა ვერ გეთანხმები, (ადგება, მარჯვთ მივა მიანინთსან, დაჟდება ტახურეტკასუ და თითებზე იბეჭავს)

**იოშან.** (ქსრუტ ადგება. თრთადე ნაბიჯს გადასდგამს და ანასსურესუკან დაუდგება) ორი ტაკტი დაუპარით გე აყვავ, ერთი ეს მა იამოგნეთ. ჩემთვის საკმარისია ერთი მშვენიერი აკორდიც რომ გაფიგონო.

**ფრ. ანნა** არ შემოძლიან დაკვრა.

**იოშან.** (საუფუდურის კილოთი) ახ, ფრეილინ ანნა, რა საჭიროა მაგისთანა ლაპარაკი? თქვენ ევა თქვით რომ არ გინდათ დაკვრა, მე მე ვიცი..

**ფრ. ანნა.** ექვსი წელიწადია კლავიშებისთვის ხელი არ დამიკარებია, მხოლოდ წელს გაზაფხულზე მიუბრუნდი ისევე, ისიც რასაც უკრავ მხოლოდ ჩემთვის რამე ნაღელიან და მწუხარე ხმებს, რომელსაც დღეაჩემი უკრავდა ხოლმე.

**იოშან.** მიმღერეთ რამე ნაღელიანი, სევიანი სიმღერა.

**ფრ. ანნა** აი ხედავთ, თქვენ კიდევაც დამცინით.

**იოშან.** არა, მე ვხედავ რომ არ გინდათ ასიამოვნოთ მეგობარს. (მტრე ხანს სუხუმეა)

**ფრ. ანნა,** ჰო, ბატონო ექიმო, მე საზიზლარი, ჯიუტი ქმნილება ვარ

**იოშან.** მაგაში ვერ გეთანხმები, ფრეილინ ანნა, (სიჩუმე ფრ. ანა ხსნის, ფორტეპიანის თითებისუ და ჯავიშეზე აწეობის) მინდა რამე მხიარული ხმა მოვიგონო

**იოშან.** (განზთ კუთხეში მიჟდება. ფეხს ფეხზე გადასდგება და თავს დაჰკიდებს, ნიდაწყობით მუხლზე დაუბეჭავს დასედას გუდს ნიკაზს უეუენებს)

**ფრ. ანნა.** (ხედებს იღებს კლავიშებიდან და დაპარკობს ნელ ნელა, ხანდახმით) სწორე გითხრა დიდებულ დროებას განვიცდით. მე ვგრძნობ, რომ ის რაღაცა სულის შემხუთავი, ქენჯნავი ცოტ-ცოტათი სადღაც ქრება. თქვენ ამას ვერა გრძობთ, ბატ. ექიმო?

**იოშან.** რაზე ამბობოთ? (ახედავს).

**ფრ. ანნა.** ერის მხრით ჩვენ სულს გვიხუთავს გამოურკვეველი შიში, ხოლო მეორეს მხრით ბნელი ფანტისმი. გადაჭარბებულად ძალ-ღონის შემოკრების საჭიროება თითქმის თავიდან აცილებულია. ასე გონია მოახლოვებული მეოცე საუკუნის ახალი სიო უკვე შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატ. ექიმო? იმისთანა კაცებისა, მაგალითად, როგორც ბრაუნია ჩვენ აღარ უნდა გვეშინოდეს: გგენი, როგორც მკიოტები დღის სინათლის მოახლოების დროს, ისე ახამხამებენ თვალებს..

**იოშან.** ფრეილინ, სწორე გითხრა არ ვიცი! ბრაუნზე რასაც თქვენ ამბობთ,—სრული სიმართლეა. მაგრამ პირადათ მე ჯერ არ შემოძლიან გავიმსჯელო ცხოველ მყოფელი გრძობით. მე არა ვარ დარწმუნებული...

**ფრ. ანნა,** და ეს ნაკადი მომდინარეობს თვითვეულ ჩვენთავანის ინდივიდუალური ბედის დამოუკიდებლად. ჩვენს პირად ბედ-იდალს ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვს, ბატ ბქიმო! (მტრე ხანს სიჩუმეა)

**ფრ. ანნა.** (კლავიშებს ერთხელ დაჰკრავს და მიანებებს თავს)

**იოშან.** (რცხ ხმა მისწუდება) აბა!

**ფრ. ანნა.** იცით, მე თქვენ ერთი რამე უნდა გითხრათ. მხოლოდ პირობა მომეცით რომ არ აპილპილდებით და დამშვიდებით მომისმენთ...

**იოშან.** რა ამბავია?

**ფრ. ანნა,** (მე მგანია, რამ დარა გვას გაუდგე)

**იოშან.** (დრმად ამოიხსრებს. ადგება და წუნართ ბედთის ტემას იწეებს.)

**ფრ. ანნა.** ბატ. იოშანეს. ჩვენ ვარდებით სუსტი ხალხის ჩვეულებრივ შეცდომამ ჩვენ თვალი უნდა მივაპყროთ უფრო საზოგადო, საერთო საქმეს... უნდა ვისწრაფოდეთ რომ პირადულს დიდი მნიშვნელობა არ მივცეთ (სიჩუმეა ცოტა ხანს)

**იოშან.** თქვენ მართლა აპირებთ წასვლას?

**ფრ. ანნა.** (ტკბილათ, შეკრამ გადაჭრით) ლიან, ბატ. იოშანეს

**იოშან.** მაშინ ათჯერ უფრო მეტად ვიგრძენობ სულით ობლობას. (სიჩუმე)